

**საქართველოს საწარმოო პალებისა და ბუნებრივი ობიექტების შემსრულებლი
ცენტრი**

**2016 წლის
სამეცნიერო ანგარიში**

**სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – ცენტრის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პოფესორი ზურაბ ლომსაძე**

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1.	ზურაბ ლომსაძე	ცენტრის დირექტორი, ტექნ.მეცნ.დოქტ., პროფესორი
2.	ირაკლი ქორდანია	მთავარი მეცნ.თანამშრომელი, ტექნ.მეცნ.დოქტ., აკადემიკოსი
3.	თენგიზ ურუშაძე	უფროსი მეცნ.თანამშრომელი, განყ. გამგე, ბიოლ.მეცნ.დოქტ., აკადემიკოსი
4.	გიორგი მადალაშვილი	უფროსი მეცნ. თანამშრომელი, განყ. გამგე, გეოლ.მინერალ.მეცნ.დოქტ., პროფესორი
5.	ოთარ ფარესიშვილი	უფროსი მეცნ. თანამშრომელი, განყ. გამგე, აკადემიური დოქტორი
6.	ნოდარ ჭითანავა	უფროსი მეცნ. თანამშრომელი, ეკონ.მეცნ.დოქტ. პროფესორი, საქართველოს სოფ.მეურნ.მეცნ.აკადემიის აკადემიკოსი
7.	იაშა (იაკობ) მესხია	უფროსი მეცნ. თანამშრომელი, (0,5 საშტ. ერთ.), ეკონ.მეცნ.დოქტორი, პროფესორი
8.	მარატ ციცქიშვილი	უფროსი მეცნ. თანამშრომელი, (0,5 საშტ. ერთ.), ბიოლ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი
9.	ქეთევან ვეზირიშვილი- ნოზაძე	უფროსი მეცნ. თანამშრომელი, ტექნ.მეცნ.დოქტორი, პროფესორი
10.	ნოდარ მირიანაშვილი	უფროსი მეცნ. თანამშრომელი, ტექნ.მეცნ.. დოქტორი
11.	ჯემალ მაჭაგარიანი	უფროსი მეცნ. თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი
12.	ქეთევან მახარაძე	უფროსი მეცნ. თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი
13.	ჯემალ ქაბულია	უფროსი მეცნ. თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი

14.	ლაურა კვარაცხელია	უფროსი მეცნ. თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი
15.	თამაზ პატარქალაშვილი	უფროსი მეცნ. თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი
16.	ასლან სულაძე	უფროსი მეცნ. თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი
17.	ანზორ სახვაძე	უფროსი მეცნ. თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი
18.	დავით კუპატაძე	უფროსი მეცნ. თანამშრომელი, (0,5 საშტ. ერთ.), აკადემიური დოქტორი
19.	ვახტანგ გელაძე	უფროსი მეცნ. თანამშრომელი, (0,5 საშტ. ერთ.), აკადემიური დოქტორი
20.	რუსულან ფირცხალავა	მეცნიერი თანამშრომელი, სრული უმაღლესი
21.	ვალენტინა მირზაევი	მეცნიერი თანამშრომელი, სრული უმაღლესი
22.	ეკატერინე ტეფნაძე	მთავარი სპეციალისტი, სრული უმაღლესი
23.	ანგონ დვალაძე	წამყვანი ინჟინერი, სრული უმაღლესი
24.	ლალი ჩაგელიშვილი	უფროსი სპეციალისტი, სრული უმაღლესი
25.	არჩილ ჯიქია	უფროსი სპეციალისტი, ტექნიკური

I. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2016 წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

I. 2. გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	მიწის, წყლის და ტყის რესურსების, მათი გამოყენების და ეკოლოგიის განყოფილება		

1	<p>“საქართველოს მიწის რესურსების (ფონდის) მართვის პრობლემები”</p> <p>მეცნიერების დარგები: ნიადაგმცოდნება, ეკონომიკა, ეკოლოგია</p> <p>სამეცნიერო მიმართულები: აგრარული მეცნიერებები</p>	თ.ურუშაძე	ნ.ჭითანავა ჯ.მაჭავარიანი რ.ფირცხალავა
2	<p>“ხეტყის მეორეული რესურსების გამოყენების დონე საქართველოში და პერსპექტივები, ხეტყის რესურსების რაციონალური გამოყენება”</p> <p>მეცნიერების დარგები: ეკონომიკა, ეკოლოგია</p> <p>სამეცნიერო მიმართულები: აგრარული მეცნიერებები</p>	თ.პატარქალაშვილი	თ.პატარქალაშვილი
3	<p>“კახეთის რეგიონის მოსახლეობის სასმელ-სამეურნეო წყალმოხმარებისა და წყალმომარაგების პრობლემები მუნიციპალიტეტების მიხედვით”</p> <p>მეცნიერების დარგები: ჰიდროლოგია, ეკონომიკა, ეკოლოგია</p> <p>სამეცნიერო მიმართულები: ეკონომიკური მეცნიერებები</p>	ქ.მახარაძე	ზ.ლომსაძე, ვ.გელაძე, გ.ციცქაშვილი, რ.ფირცხალავა
	მინერალური და ენერგეტიკული რესურსებისა და მათი გამოყენების განყოფილება		

4	<p>მეორეული და არატრადიციული მინერალური რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები საქართველოს ეროვნული კონომიკის სხვადასხვა დარგში</p> <p>მეცნიერების დარგები: გეოლოგია, სამთო, გეოგრაფია, ეკოლოგია, ეკონომიკა;</p> <p>სამეცნიერო მიმართულებები: დედამიწის შემსწავლელი და გარემო, ეკონომიკური მეცნიერებები</p>	გ.მაღალაშვილი	<p>გ.მაღალაშვილი, ა.სულაძე, ჯ.კაპულია, დ.კუპატაძე, ა.დვალაძე</p>
5	<p>საქართველოში ენერგიის განახლებადი, არატრადიციული ენერგორესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა და ქვეყნის საობობ-ენერგეტიკულ კომპლექსში მათი ჩართვის პერსპექტივები</p> <p>მეცნიერების დარგი: ენერგეტიკა, ეკონომიკა</p> <p>სამეცნიერო მიმართულებები: საბუნებისმეტყველო, განახლებადი ენერგორესურსები</p>	აკად. ირ. ჟორდანია	<p>ქვეზირიშვილი-ნოზაძე, ნ.მირიანაშვილი, ა.დვალაძე</p>
6	<p>ადამიანური და ბუნებრივ- რეკრეაციული რესურსების, მათი გამოყენებისა და ტურიზმის განვითილება</p> <p>შრომითი რესურსების გამოყენების დინამიკა საქართველოს ეროვნულ</p>	ა.სახვაძე	ა.სახვაძე

	<p>მეურნეობაში</p> <p>მეცნიერების დარგი:</p> <p>ეკონომიკა, დემოგრაფია</p> <p>სამეცნიერო მიმართულებები:</p> <p>სოციოლოგია</p>		
7.	<p>ტურისტული და</p> <p>რეკრეაციული რესურსების</p> <p>ეფექტური გამოყენების</p> <p>ძირითადი მიმართულებები:</p> <p>შეფასება და პროგნოზები</p> <p>მეცნიერების დარგი:</p> <p>ეკონომიკა, ეკოლოგია</p> <p>სამეცნიერო მიმართულებები:</p> <p>ტურიზმი</p>	ლ. პარაცხელია ლ. პარაცხელია	
<p>გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და</p> <p>პრაქტიკული შედეგები</p>			
<p>1. პროექტი (2016-2017 წლები) ითვალისწინებს საქართველოს მიწის რესურსების (ფონდის) თანამედროვე მდგომარეობის კომპლექსურ შესწავლას. იგულისმება მიწის ფონდის დინამიკა, სტრუქტურა, ცვლილებები კატეგორიების და საკუთრების ფორმების მიხედვით, ეკონომიკურად, ეკოლოგიურად და ორგანიზაციულად მიზანშეწონილი ღონისძიებების შემუშავება-განხორციელების პირობები.</p> <p>პროექტის მიზანია შემუშავდეს საქართველოს მიწის რესურსების (ფონდის) მართვის სტრატეგია, რომელიც საფუძვლად დაედება მიწის რესურსების (ფონდის) რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის შემუშავებას.</p> <p>სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის 2016-2017 წლების კალენდარული გეგმის (ეტაპებისა და ვადების მიხედვით) შესაბამისად 2016 წელს გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებულია. გაანალიზებულია 1990-2015 წლებში საქართველოში მიწის რესურსების გამოყენებაში მიმდინარე ცვლილებები, ფონდის სტრუქტურა, საკუთრებითი ურთიერთობები, მოძიებულია მიწის რესურსების (ფონდის) 2004 და 2014 წლების სასოფლო-სამეურნეო აღწერის შასალები, სამინისტროებისა და უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციები, სამეცნიერო დაწესებულებების გამოკვლევები, რომლებიც მიწის რესურსების გამოყენების პრობლემებს ეხება. ასევე, ნაწილობრივ მოძიებულია შესაბამისი ინფორმაციები საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში მიწის რესურსების აღრიცხვისა და ეკონომიკური შეფასების გამოცდილების შესახებ. მოძიებულია დასავლეთ საქართველოში კლიმატის ცვლილებების (ძირითადი მაჩვენებლები) შესახებ ინფორმაცია. ჩატარებულია დასავლეთ საქართველოს კლიმატისა და ნიადაგების მდგომარეობის ანალიზი (სასოფ. სამეურ. მეცნ. დოქტორთან გ. გოგიჩაიშვილთან ერთად).</p>			

დადგენილია კლიმატის ცვლილებების ძირითადი მაჩვენებლები. 1999-2010 წლების მონაცემების წინა პერიოდების მონაცემებთან შედარებით შეფასებულია დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ზონაში საშუალო ტემპერატურის ცვლილებები, გაანალიზებულია ნიადაგების აზოგით, ფოსფორით და კალიუმით უზრუნველყოფის მდგომარეობა.

2. უკანასკნელი 20-30 წლის მანძილზე მსოფლიოს უმდიდრესი და ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები დიდ დროსა და ენერგიას უთმობენ მეორეული რესურსების მოძიებას და მათ რაციონალურ გამოყენებას, რათა მაქსიმალურად დაზოგონ ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები. ჩვენ შევეცადეთ მოგვეპოვებინა ფქტობრივი მონაცემები ხეტყის მეორეული რესურსების გამოყენების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებში, თუმცა ჩვენი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ისინი არა თუ არ მუშაობენ აღნიშნულ საკითხებზე, არამედ ინტერესიც არ გააჩნიათ, რაც მეტად დამაფიქრებელია.

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში და შემდგომაც საბჭოთა კავშირის დაშლამდე, ხეტყის მეორეული რესურსების გამოყენებას გაცილებით მეტი ყურადღება ექცეოდა. აღნიშნულ პერიოდში საქართველოში გამოიყენებოდა ხეტყის გადამუშავებისას მიღებული მეორეული ნარჩენები საიდანაც მზადდებოდა მერქანბურბუშელიანი და მერქანბოჭკოვანი ფილები, როლებიც შემდგომ გამოიყენებოდა სასკოლო, საოფისე, სამზარეულოსა და სხვა ტიპის ავეჯის დასამზადებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხეტყის მეორეული რესურსების გამოყენებას აქვს უაღრესად მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ეკოლოგიური მნიშვნელობა - ისინი გამოიყენება ქიმიურ წარმოქაბაში (ცელულოზა-ქალალდის წარმოქაბა, საკვები საფუარების დამზადება და ა.შ.). ტექნოლოგიური ნაფოტი არის ხეტყის მეორეული ნარჩენებიდან გამომუშავებული ყველაზე გავრცელებული პროდუქცია, რომელზეც მოთხოვნილება ყოველწლიურად მატულობს, განსაკუთრებით ცილულოზა-ქალალდისა და ფილების წარმოებაში. ხეტყის მეორეული ნარჩენები სულ უფრო ხშირად ხდება სამასალე მერქნის ეფექტური ჩამნაცვლებელი. ფართოვდება სამშენებლო მასალების ასორტიმენტი რომელიც დამზადებულია ხეტყის მეორეული ნარჩენებისაგან.

ხეტყის მეორეული ნარჩენების გამოყენების შედეგად იზოგება ათასობით სადი, ზეზე მდგომი ხე. საქართველოში უკანასკნელ წლებში იქრება დაახლოებით 700-800 ათასი კუბ. მეტრი ხეტყე. ხეტყის მეორეული რესურსების გამოყენების შემთხვევაში ეს რაოდენობა შესაძლებელია შემცირდეს თითქმის ორჯერ.

თემატიკური გეგმით გათვალისწინებული საკითხებიდან 2016 წელს შესწავლილია: ხეტყის ნარჩენების წარმოქნის მიზეზები; ხეტყის ნარჩენების კლასიფიკაცია; ხეტყის მეორეული რესურსების წყაროები (მ.შ. ხეტყის ბიომასა; ხეტყის გადამუშავებისას მიღებული მეორეული ნარჩენები; ხეტყის მეორეული ურბანული ნარჩენები); ხეტყის დახერხვისა გადამუშავებისას წარმოქმნილი მეორეული ნარჩენების კლასიფიკაცია; მერქნის სტრუქტურა; ხეტყის მეორეული ნარჩენების გამოყენების ძირითადი მიმართულებები.

3. 2016 წელს დასრულებულია შემდეგი ეტაპები: კახეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების დასასიათება; რეგიონის წყლის რესურსები და მათი განაწილება მუნიციპალიტეტების მიედვით; წყლის რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემები. საქართველოს 2014 წლის აღწერის შედეგების საფუძველზე დადგნენილია აღგილზე

ფირმირებული წყლის რესურსების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე მთლიანად რეგიონში და ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით. განხილულია წყალსადენებისა და საკანალიზაციო ქსელების მდგომარეობა კახეთის ქალაქებში, რისთვისაც გაანალიზებულია სხვადასხვა ორგანიზაციების სათანადო მასალები. შემუშავებულია წინადადებები წყალსამეურნეო საკითხების მართვის გაუმჯობესების მიზნით.

4. საქართველოში არსებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოებზე გაცემული ლიცენზიები თითქმის 70-80% აღწევს. ჩვენი საბადოები, ძირითადად მცირე და საშუალო მასშტაბით ხასიათდება და თუ გავითვალისწინებთ მათ დამუშავების ტემპებს, დავრწმუნდებით, რომ 15-20 წლის შემდეგ მათი უმრავლესობა (ზოგი ერთეული საბადოს გამონაკლისით) თითქმის მთლიანად იქნება დამუშავებული. მაგალითად, თეთრიწყაროს მანგანუმის საბადო (ჩხიკვთა, სამშენებლო, ჯორჯიაშვილი და სხვა უბნები) დაახლოებით ხუთ წელიწადში მთლიანად იქნება დამუშავებული.

ცხადია, გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩვენი ეკონომიკა დადგება დიდი პრობლემის წინაშე, რადგან იძულებული გავხვდებით სხვა ქვეყნებიდან შემოვიტანოთ მინერალური ნედლეული.

აქედან გამომდინარე, მეტად აქტუალურია ვეძებოთ მათი შემცველი, თუნდაც არატრადიციული ნედლეული – მეორეული, ძირითადი სასარგებლო მინერალური კომპონენტების თანამდევი ელემენტები, რაც საშუალებას მოგვცემს მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც შევინარჩუნოთ ქვეყნის მინერალურ-რესურსული პოტენციალი.

მინერალური რესურსების შეფასებისას ხშირ შემთხვევასი ყურადღება არ ექცევა თანამდევ, მეორეულ, არატრადიციულ და სასარგებლო წიაღისეულის ბუდობის გადამხურავ, ე.წ. “ფუჭ ქანებს”. მათი ჩართვა მინერალურ-რესურსულ პოტენციალში საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ ეკონომიკის ეფექტიანობა და შევქნათ მისი ახალი დარგები.

მადნების შემთხვევაში თანამდევ ელემენტებს შორის აღსანიშნავია – ვანადიუმი, კადმიუმი, ბისმეტი, სელენი, ტელური; მეტალურგიული ნარჩენებიდან – ნამწვი, წიდა, აქროლადი ელემენტები; “ფუჭ ქანებიდან” – ბენტონიტური თიხების გადამხურავი ტრაქიტები (ასკანის საბადოზე); ტყიბულ-შაორის ნახშირის საბადოზე – ალუმინის ოქსიდის მაღალი შემცველობის არგილიტები; მადნეულის საბადოზე – საკერამიკო და მინის საწარმოებლად გადამხურავი რიოლიტური ქანები (ასეთი ტიპის “ფუჭი ქანები” გავრცელებულია ასევე ბოლნისის საბადოების ყველა უბანზე – ქვემო ბოლნისი, დავითგარეჯი, წითელი სოფელი). ბეგთაკარის საბადოზე – ოქროსშემცველი მეორადი კვარციტები, უნიკალური, ჩინეთის “ფაიფურის ქვების” ტიპის ქანები.

გუმბრის ბენტონიტური თიხის საგები ქანები წარმოდგენილია გლაუკონიტიანი ქვიშაქვებით, რომელთა პროგნოზული რესურსები (წყალტუბოს რაიონიდან ვრცელდება ქ.ონამდე) შეადგენს რამდენიმე მდრდ. ტონას.

ახალციხის მურა ნახშირის საბადოზე საგები და სახურავი ქანები წარმოდგენილია “შავი ბენტონიტებით”, რომელიც არაჩვეულებრივ ორგანო-მინერალურ სასუქს წარმოადგენს. ასეთია ასევე მდ.დურუჯის ნაშალი თიხაფიქლები და სხვა.

ჭიათურის კარბონატული მადნების შემადგენლობაში დადგენილია ფოსფორი (ფრანკოლიტის

და პოლოლიტის მინერალების სახით). ფოსფორი მონაწილეობს ასევე ჭიათურის მადნების შემცველ სპონგოლიტურ ქანებში და ზღვიურ ზღარბების შედგენილობაში, ხოლო კარბონატული კომპონენტი მონაწილეობს როგორც მინერალ მანგანკალციტში, ასევე საკუთრივ კალციტის სახით, რაც მოითხოვს ასეთი მადნების გამდიდრებას. ამ მიზნით საბადოზე მოქმედებს კარბონატული მადნების მამდიდრებელი ქარხანა, თუმცა მიღებულ კონცენტრატში მცირე ოდენობით მაინც ფიქსირდება ფოსფორი, კარბონატი და გოგირდი. ამრიგად, გამდიდრების პროცესში ნარჩენი კუდები შეიცავს სამი სახის მინერალურ სასუქს – ფოსფორს, კალციტს, მანგანუმს, რაც მეტად საჭიროა ნიადაგის აგროქიმიური თვისებების გასაუმჯობესებლად.

აღნიშნულ პრობლემებზე სამუშაოდ მიზანშეწონილია გეოლოგების, სამთო და მამდიდრებელი სპეციალისტების ერთობლივი ჩართველობა (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული, სასოფლო-სამუშაო და საინჟინრო აკადემიების სპეციალისტების მონაწილეობით)

5. გაანალიზებულია მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტებზე (ევროპა, აზია, ამერიკა, ავსტრალია) და ქვეყანებში, აგრეთვე საქართველოში მზის, ქარის, თერმული წყლების გამოყენების დღევანდელი მდგომარეობა და მათი ათვისების პერსპექტივები.

ნაჩვენებია, რომ განახლებადი, არატრადიციული ენერგორესურსების ფართოდ გამოყენების შემთხვევაში, ქვეყანაში დაიზოგება მოხმარებული საობობ-ენერგეტიკული რესურსების 15-20%.

ანგარიშში მოყვანილი მდინარეების მცირე ტექნიკური პიდროენერგეტიკული პოტენციალი შეფასებულია საქართველოს აღმინისტრაციული რეგიონებისა და რაიონების მიხედვით.

ქვეყნის მცირე ტექნიკური პიდროენერგეტიკული პოტენციალის შეფასებისათვის განისაზღვრა როგორც პატარა, ასევე დიდი და საშუალო პოტენციალის მქონე მდინარეების ცალკეული უბნების ტექნიკური პიდროენერგეტიკული პოტენციალი. ჩატარებული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სულ საქართველოში მცირე პიდროენერგეტიკული პოტენციალი შეადგენს 3729 მვტ-ს, ენერგიის წლიური გამომუშავებით 19471 მლნ კვტსთ. აქედან დასავლეთ საქართველოზე მოდის მცირე პიდროენერგეტიკული პოტენციალი 2740 მვტ, ენერგიის შესაბამისი წლიური გამომუშავებით 13680 მლნ კვტსთ, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოზე მოდის შესაბამისად – 989 მვტ, და 5791 მლნ კვტსთ.

ცნობილია, რომ საქართველოს ქვანახშირის გარდა არ გააჩნია სხვა წიაღისეული საობობის მნიშვნელოვანი მარაგები. ქვეყნის ეკონომიკას სერიოზულ ტვირთად აწევს ნაგობიპროდუქტებისა და ბუნებრივი აირის იმპორტი, რომლის ფასები მსოფლიო ბაზარზე საკმაოდ მაღალია და ამავდროულად არასტაბილური. ასეთ ვითარებაში კი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე, რასაც ემატება აგრეთვე გლობალური დათბობის შედეგად გამოწვეული ეკოლოგიური კატასტროფები. ამ ასპექტების გათვალისწინებით, სულ უფრო აქტუალური ხდება ალტერნატიული, განახლებადი რესურსების გამოყენების საკითხი, მითუმეტეს ახლა, როცა დღის წესრიგში დგას საობობენერგეტიკული კომპლექსის განვითარების ოპტიმიზაციის მწვავე აუცილებლობა. ამასთან, საქართველოში აღინიშნება ენერგეტიკული რესურსების

არარაციონალური მოხმარება, ხოლო არსებული საკუთარი ბუნებრივი სათბობებურგეტიკული რესურსები, როგორც ტრადიციული, ასევე არატრადიციული, სათანადოდ არ არის ათვისებული. ცხადია, ასეთ პირობებში საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარება და ქვეყნის საიმედო ენერგოუზრუნველყოფის გზების და მიმართულებების ძიება მეტად მწვავე და აქტუალური პრობლემაა.

ქვეყანაში საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანალიზიდან ჩანს, რომ საქართველოს გააჩნია განახლებადი, არატრადიციული ენერგიის რესურსების დიდი მარაგი (ჰიდრო, მზის, ქარის, გეოთერმალური წყლების და ბიოგაზის). იუხედავად ამისა, დღემდე მიღებული არ არის მათი ათვისების მხარდამჭერი კანონები, რის გამოც ამ რესურსების გამოყენების დონე ამჟამად ძალიან დაბალია და ეს ხდება მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა ყოველწლიურად 300 მლნ ლარის ბუნებრივ აირს ყიდულობს უცხოეთში. საქართველოში მოხმარებული ბუნებრივი აირის 50% კი იხარჯება დაბალპოტენციური თბური ენერგიის ($40-150^{\circ}\text{C}$) მისაღებად, გათბობისა და ცხელწყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით. სწორედ ამ სეგმენტის ჩანაცვლებაა უპრიანი ალტერნატიული რესურსებით, რაც მიღიონობით ტონა ძვირადღირებულ იმპორტირებულ ნედლეულს დაზოგავს და არც გარემოს დააბინძურებს. ჩვენი აზრით, აუცილებელია ჩატარდეს ფუნდამენტური სამუშაოები, რათა გადაიჭრას საგანონმდებლო, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, ინფორმაციული და ფსიქოლოგიური ბარიერები, რაც ხელს უშლის და ამუხრუჭებს ამ მეტად აქტუალურ, ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ახალ მიმართულებას.

იაპონიაში ჩატარებულ სამიტზე, რომელიც ეძღვნებოდა კლიმატის გლობალური ცვლილებების პრობლემების გადაწყვეტას, მოთხოვნილ იქნა განახლებადი, არატრადიციული ენერგიის ფართოდ გამოყენების აუცილებლობა. გარდა ამისა, მიღებულ იქნა მთელი რიგი უმნიშვნელოვანები საერთაშორისო კონვენციებისა, რომლებიც ფაქტიურად არატრადიციული ენერგიის ათვისებას პირდაპირ უკავშირებენ გარემოსდაცვით პრობლემებს. ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ იმ უზარმაზარი თანხების ნაწილი, რომელიც მობილიზებული იყო საერთაშორისო დონორების მიერ გარემოსდაცვითი პრობლემების გადასაწყვეტად, მოხმარდება ენერგიის განახლებადი წყაროების ათვისებას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ საქართველომაც აუცილებლად უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი ქვეყანაში არსებული ენერგიის განახლებადი რესურსების გამოყენებას სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავებისას.

6. წარმოდგენილი ანგარიში არის ორწლიანია პვლევითი პროექტის პირველი ნაწილი. საბანგარიშო პერიოდში (2016 წელს) მოძიებული და სისტემატიზებულია ის ვრცელი სტატისტიკური და თეორიული მასალა, რაც საჭიროა საკვლევი თემის სათანადოდ შესრულებისთვის.

ამასთან, დასრულებულია ნაშრომის პირველი („შრომითი რესურსების ცნება და საქართველოს შრომითი პოტენციალი“) და მეორე („შრომითი რესურსების დემოგრაფიული სტრუქტურა და მისი პერსპექტივები“) თავები, საიდანაც ირკვევა, რომ 1959-1989 წლებში, შრომისუნარიანი მოსახლეობის აბსოლუტური რიცხოვნობა განუხელებად იზრდებოდა, ხოლო 1989-2014 წლებში კი, პირიქით, განუხელებად კლებულობდა. იგივე კანონზომიერება ვლინდება

თოთოული სქესის მიხედვითაც. ამასთან შრომისუნარიანი ასაკის ვაჟების რაოდენობის ზრდის ტემპი საგრძნობლად აღემატებოდა შრომისუნარიანი ასაკის ქალების ზრდის ტემპს და მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა მთელი ქვეყნის შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის აღნიშნული ზრდის ტემპებსაც. შრომისუნარიანი ასაკის ვაჟებისა და ქალების რაოდენობის ზრდის ტემპების ასეთი დიფერენციაცია უნდა აიხსნას მეორე მსოფლიოს ომის შემდგომ პერიოდში გაზრდილი შობადობის დონითა, და შესაბამისად, სქესთა მეორეული თანაფარდობის (ახალშობილთა შორის გოგონებთან შედარებით ბიჭების სიჭარბე) გამო ვაჟების აბსოლუტური რიცხვის მომატებით.

მთელი საქართველოს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ზრდის ტემპების ანალოგიური დინამიკა იყო ქალაქის მოსახლეობაშიც, სადაც შრომისუნარიანი ასაკის ვაჟების ზრდის ტემპები ასევე სჭარბობდა ქალების ანალოგიურ მაჩვენებლებს. უფრო მეტიც, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ზრდის ტემპები უფრო მაღალი იყო ქალაქად, ვიდრე მთელ მოსახლეობაში, რაც, უდავოდ, საქართველოში ამ დროს მიმდინარე ურბანიზაციის ინტენსურ პროცესს უნდა მიეწეროს.

ქალაქის შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობისგან ოდნავ განსხვავებული დინამიკა ახასიათებდა სოფლის შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობას. კერძოდ, 1959-1970 და 1979-1989 წლებში, სოფლად აღინიშნა შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის შემცირება, რაც, მხოლოდ შრომისუნარიანი ასაკის ქალების რიცხოვნობის შემცირებით იყო გამოწვეული.

აქვე აღნიშნულია, რომ ყველა აღწერის მიხედვით, შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობა შეადგენს მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტს. ეს კანონზომიერება ქალაქად უფრო ძლიერად გამოკვეთილი, ვიდრე სოფლად. გარდა ამისა, აშერაა ისიც, რომ 1970 წლიდან მოყოლებული შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილის განუხრელი ზრდა (როგორც ქალაქად, ასევე სოფლადაც) ძირითადად შრომისუნარიან ასაკზე უმცროსი ასაკის მოსახლეობის აპსოლუტური და შესაბამისად ხვედრითი წილის შემცირებით იყო გამოწვეული, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო შობადობის დონის შემცირებით და მომავალში შრომითი რესურსების დაფიციტზე მიანიშნებდა.

7. ტურიზმს გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, რადგან იგი არა მარტო იძლევა მნიშვნელოვან შემოსავალს ქვეყნისთვის, არამედ დამატებით არაერთი დაღებითი შედეგი მოაქვს. ტურიზმი უზრუნველყოფს ბიზნესის სხვადასხვა სფეროების განვითარებას. შესაბამისად, მოსახლეობის დასაქმებას, ქვეყნის კულტურულისტორიული ტრადიციების გაცნობას, საქმიანი კავშირების ჩამოყალიბებას სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელთა შორის, ყველაფერი ერთად კი, აძლიერებს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას, ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას.

თანამედროვე ეტაპზე საქართველო აქტიურად ცდილობს გლობალიზაციის გამოწვევებს უპასუხოს და საერთაშორისო ტურიზმში შემდგომ წარმატებებს მიაღწიოს. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია მოწინავე ტურისტული ქავების გამოცდილების შესწავლა და გამოყენება. ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები, რომელთა მიზანია ტურისტული

სფეროსა და ბიზნესის ხელშეწყობა და სხვადასხვა ქვეყნებიდან ტურისტების მოზიდვა.

ქვეყნის ტურისტული და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების თანამედროვე მდგომარეობის შესწავლის მიზნით მოკვდეული {მოძიებული} მასალის ანალიზი აჩვენებს, რომ არსებული უნიკალური ტურისტული რესურსების გამოყენება ვერ ხერხდება მიზნობრივად – არსებობს ბევრი ფაქტორი, რომელთა შესწავლა განაპირობებს სწორ მიდგომას პრობლემის გადაჭრის თვალსაზრისით. მოცემულია განსაზღვრებები როგორც რესურსების რეკრეაციული გამოყენების, რეკრეაციული რესურსების ჯგუფებისა და ტიპების, ასევე რეკრეაციული საქმიანობის მიხედვით. განსასაზღვრია საქართველოს და რეგიონების რეკრეაციული გეოგრაფიის კონცეფცია. განსილებულია შესაძლებლობები და განსაკუთრებულობა – ბუნებრივი, ეთნოლოგიური, კულტურული, ეკოლოგიურ-შემცნებითი – რეკრეაციის რეგიონებსა და შორეულ ადგილებში. გაკეთებულია დასკვნა რეკრეაციული პერსპექტივულობისა სწორედ ასეთი, ჯერ კიდევ აუთივისებელი ადგილების. შეთავაზებულია ვარიანტები რეკრეაციულ რესურსებთან მუშაობის. საჭიროა გაცნობა საქართველოს რეკრეაციული რესურსების შესწავლისა და აღწერის მეთოდებთან, რეკრეაციული რესურსების ჯგუფებთან და ტიპებთან, მათი შეფასების მეთოდებთან; სპეციალური ლიტერატურის მოძიება, დროით და სივრცით ჭრილში შედარებითი ანალიზის ჩატარება, პრიორიტეტული ტურისტული და რეკრეაციული რესურსების გამოვლენა და მათი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა.

საქართველო, როგორც მრავალფეროვანი კლიმატური რესურსებით მდიდარი ქვეყანა, გამოირჩევა სხვადასხვა სახის კურორტების სიმრავლით. აქ ისტორიულად განვითარებული იყო შავი ზღვის რეკრეაციული ზონა, სამკურნალო-მინერალური კურორტების ინფრასტრუქტურა, სამთო-სათხილამურო ტურიზმი. ამჟამად ინერგება რეკრეაციის ახალი ტიპები, როგორიცაა აგროტურიზმი, ექსტრემალური ტურიზმი და სხვ. აღნიშნულია, რომ კლიმატის ცვლილება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, უკანასკნელი პერიოდის კლიმატური მონაცემებისა და სამომავლო სცენარების გაანალიზების საფუძველზე, სხვადასხვაგვარ პერსპექტივას ქმნის ტურიზმის გრძელებერიოდიანი დაგეგმარებისთვის. ცალკეული რაიონების მიხედვით გამოვლენილია ტენდენციები. დადგენილია, რომ კლიმატის მიმდინარე და შესაძლო ცვლილების ხასიათი სხვადასხვაგვარ ზემოქმედებას მოახდენს ფუნქციონალურად განსხვავებული საკურორტო-რეკრეაციული რაიონების განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დათბობის თითქმის ყველგან გამოხატული ტენდენცია დადებითად იმოქმედებს მაღალმოთიან სამთო-კლიმატურ რაიონებში ტურისტულ ინდუსტრიაზე.

საქართველოს ტურისტული და რეკრეაციული რესურსების სისტემური პლანია – ინოვაციური მიდგომებისა და მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენების მსოფლიო გამოცდილების მეცნიერებული ანალიზი და მათი საქართველოს პირობებში რეალიზაციის შესაძლებლობების დადგენა, დინამიკური ცვლილებების შესწავლა განაპირობებს ტურისტული და რეკრეაციული რესურსების განვითარებაში დადგებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენას.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ქვეყანაში და რეგიონებში ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც მიმართული იქნება დარგში არსებული გადაუქრებლი პრობლემების დაძლევისადმი. ამ მიზნით

უმნიშვნელოვანესია ტურიზმში არსებული საკანონმდებლო ბაზისა და ნორმატიული აქტების განახლება, ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პროგრამისა და კონცეფციის შემუშავება, ტურიზმის სფეროში სტატისტიკის აღრიცხვის მოწესრიგება საერთაშორისო ტურიზმში მიღებული ნორმატივების საფუძველზე.

დადგენილია, რომ საქართველოში ბუნებრივი რესურსები არარაციონალურად გამოყენება, რაც იწვევს მათ მნიშვნელოვან შემცირებას. აქედან გამომდინარე განისაზღვრა რეგიონის ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპები.. დასაბუთებულია, რომ მდგრადი განვითარება არის განუწყვეტელი ცვლილებების პროცესი, რომლის ჩარჩოებში რესურსების ექსპლუატაცია, განხორციელებული ინვესტიციები, ტექნილოგიური პროცესები მოყვანილი უნდა იყოს დღევანდელ და მომავალ მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში.

განხილულია დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ეკოტურისტული პოტენციალი და მისი გამოყენების პრობლემები, ასევე გარემოს დაცვის პრობლემები. მნიშვნელოვანია ქვეყანაში შიდა ტურიზმის სფერო, რომლის განვითარება ხელს უწყობს სამუშაო ადგილების ზრდასა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას ტურიზმის სფეროში. მათ საშუალება ეძლევათ უკეთ გაეცნონ თავისი ქვეყნის ბუნებას, კულტურასა და ისტორიას.

განხილულია ტურიზმის სახეები და ეკოტურისტული სახეობები, კულტურული ტურიზმის პოტენციალი ქვეყნის რეგიონებში. კულტურული ტურიზმის განვითარება თითოეულ რეგიონში ხელს უწყობს საზოგადოების თვითშეგნების ამაღლებას და ქართული ტრადიციების შენარჩუნებას.

განხილულია სპა (ფიზიოთერაპიული პროცედურების გამაჯანსაღებელი კომპლექსი წყლის გამოყენებით) ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივა საქართველოში. სპაში იყენებენ მინერალურ, ზღვის და მტკნარ წყლებს, ზღვის წყალმცენარეებსა და მარილს, სამკურნალო ტალახსა და მცენარეებს.

სწრაფად ვითარდება სამკურნალო— გამაჯანსაღებელი ტურიზმი. გაიზარდა შიდა და საერთაშორისო ტურისტული მოგზაურობები მკურნალობისა და გაჯანსაღების მიზნით. აღსანიშნავია, რომ სამკურნალო, გამაჯანსაღებელი და სპა ტურიზმი თავისი არსით ერთმანეთისგან განსხვავებულია. საქართველოს თავისი ბუნებრივი პირობებითა და სამკურნალო პოტენციალით სპა ტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი რესურსები გააჩნია. ქვეყნის საკურორტო მეურნეობა პოსტსაბჭოთა კატაკლიზმების შედეგად თოთქმის მთლიანად განადგურდა. ამჟამად ტურიზმის ინდუსტრიის ეს სექტორი თავიდან ვითარდება – ხორციელდება ძველი კურორტების რეაბილიტაცია, ახალი კურორტების შექმნა, საზღვაო, სამედიცინო და სპა კურორტების განვითარება და სხვ.

მნიშვნელოვანი პოტენციალი არსებობს სამედიცინო ტურიზმის განვითარებისთვის. საქართველოს შეუძლია საერთაშორისო ბაზარზე რამდენიმე ტიპის მომსახურების გატანა, როგორიცაა სტომატოლოგია, მხედველობის კორექცია, თმის გადანერგვა, კოსმეტიკური მედიცინა, ფაგებით მკურნალობა (მკურნალობის უქსკლუზიური სახეობა), რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურება და სხვ.

არსებული მდგომარეობის ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოში ტურიზმი და

პურორტოლოგია ერთ პრიზმაში უნდა განიხილებოდეს; კურორტებზე ადსადგენია მკურნალობის სისტემა, გასათვალისწინებელია სამკურნალო კურორტების სპეციფიკა, საჭიროა შეიქმნას კომპლექსური პროგრამა როგორც ინფრასტრუქტურის და ტექნიკური პირობების უზრუნველსაყოფად, ისე ექიმ- კურორტოლოგებისა და კადრების მომზადება—გადასამზადებლად და საერთაშორისო პრომოუშენისა და მარკეტინგის დასახვეწად. ეს საკითხი, როგორც საქართველოს პოტენციალის ფუნდამენტური მიმართულება, უნდა აისახოს სახელმწიფოს სტრატეგიული გეგმის შექმნასა და განხორციელებაში.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

Nº	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Z.Lomsadze, K.Maxaradze, R.Pirtskhalava (ზ.ლომსაძე, ქ.მახარაძე, რ.პირცხალავა)	The Ecological Problems of Rivers of Georgia საქართველოს მდინარეების (კასპიის ზღვის აუზი) ეკოლოგიური პრობლემები)	Annals Of Agrarian Science 14 (2016)	Final version published online 27-OCT-2016 2016.08.009	pp. 237-242 (გვ. 237-242).
2	Tsintskaladze, I.Eprikashvili, T.Urushadze, T. Kordzakia, T.Sharashenidze, M.Zautashvilli and M. Burjanadze	Nanomodified natural zeolite as a fertilizer of prolonged activity.	Annals of Agrarian Science vol.14 #3 (2016)	Final version published online	pp. 15-20
3	T.Patarkalashvili	Some problems of forest management of Georgia Annals of agrarian	Volume 14,issue 2, June 2016	Tbilisi, Elsevier. available at:science direct.com	pp.108-113

		science			
4	გ.მაღალაშვილი	აქატ-ქალცედონის ჟერდებში ოპალისებრი არშიის ფორმირების პირობების გაშიფვრა და მასში პიდრეთერმულ- მეტასომატური ცეოლითიზაციის დადგენა (რუსულ ენაზე). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე- ქიმიის სერია.	№4, ტომი 42	თბილისი, 2016 წ.	გვ.611-616
5	ჯ.ქაძელია, ზ.არაბიძე, ლ.ქართველიშვილი, ლ.ჩოჩია, თ.გურული	საქართველოს მინერალური რესურსების კომპლექსური გამდიდრების ინტენსიფიკაციის პერსპექტივები კომბინირებული ტექნოლოგიური სქემების გამოყენებით. სამთო ქურნალი.	№2(37)	თბილისი, 2016.	გვ.30-33
6	ლ.ქართველიშვილი, ნ.ჩხობაძე, ჯ.ქაძელია, ნ.ლომიძე, ლ.ჩოჩია	ტრაქიტების გადამუშავების შედეგად მიღებული ბიომინერალური პროცესების სასუქის გამოცდა. სამთო ქურნალი.	№2(37)	თბილისი, 2016.	გვ.88-90
7	ლ.ჩოჩია, ლ.ქართველიშვილი, ჯ.ქაძელია,	THE CLEANING SEWAGE OF MADNEULI BY	№4, ტომი 42	თბილისი, 2016 წ.	გვ.535-538

	b.ჯალადანია	SORPTION METHOD. (ინგლისურ ენაზე). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ქიმიის სერია.			
8	ქვეზირიშვილი- ნოზაძე, ნ.მირიანაშვილი, ლ.პაპავა, მ.რაზმაძე	გეოთერმული ენერგია - განვითარების ოპტიმალური შესაძლებლობების და მიმართულებების არჩევა. ქურნ. „ენერგია“.	Nº2(78)	თბილისი, 2016.	გვ.36-41
9	ირ.ქორდანია, ნ.მირიანაშვილი, ქ.ვეზირიშვილი- ნოზაძე, ნ.გძელიშვილი, ვ.ბახტაძე, ვ.ხათაშვილი, თ.ნოზაძე, თ.წოწონავა- დურგლიშვილი	მზის ენერგიის პოტენციალის გამოყენების პერსპექტივები თბილისში. ქურნ. „ენერგია“.	Nº2(78)	თბილისი, 2016.	გვ.42-48
10	ნ.მირიანაშვილი, ნ.გძელიშვილი, ქ.ვეზირიშვილი- ნოზაძე, ვ.ხათაშვილი, თ.ნოზაძე, თ.წოწონავა- დურგლიშვილი	მზის ენერგიის გამოყენების ტენ- დენციები ევროპაში. ა-ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული.	Nº20	თბილისი, 2016	გვ.98-103
11	ქ.ვეზირიშვილი- ნოზაძე, ა.მორჩილაძე, თ.ნოზაძე, მ.ჯიხველი	ოპტიმალური ენერგოეკოლოგიუ- რი სითბო- სიცივით მომარაგების სისტემების შერჩევა. ქურნალი	Nº1 (77)	თბილისი, 2016	გვ.10-16

	“ენერგია”		
ანოტაციები			
1.	სტატიაში განხილულია საქართველოს მდინარეების (კასპიის ზღვის აუზის) ეკოლოგიური პრობლემები. ნაჩვენებია, რომ მტკნარი წყლის პრობლემა მსოფლურში უაღრესად მნიშვნელოვანია. მოცემულია მდინარეების – მტკვრის და მისი ძირითადი შენაკადების, იორისა და ალაზნის წყლების დაბინძურების მდგომარეობა სხვადასხვა ქიმიური რეაგენტებით და პეტიციდებით. გამოტანილია დასკვნა, რომ წყლის რესურსების გამოყენება და დაცვა სახელმწიფო ზედამხედველობას და რეგულირებას საჭიროებს.		
2.	სტატიაში განხილულია ცეოლიტების როგორც სასუქების გამოყენების აქტუალური საკითხები როგორც მინერალურ ისე ორგანილ სასუქებთან ერთად. ასეთი მიღგომით მიიღწევა მოსავლიანობის მკვეთრი ზრდა და ამავე დროს ეკოლოგიურად უვნებელი პროდუქტების წარმოება.		
3.	სტატიაში გაანალიზებულია სატყეო მენეჯმენტის ზოგიერთი პრობლემები საქართველოში. კერძოდ აღნიშნულია, რომ სატყეო პროფილის სამეცნიერო დაწესებულებების გაუქმების შემდეგ ჩვენ აღარ მოგვეპოვება ფაქტობრივი მონაცემები საქართველოს ტყეების მდგომარეობაზე და მათ ძირითად პარამეტრებზე, რაც არ იძლევა სატყეო-სამეურნეო დონისძიებების ზუსტი დაგეგმვის საშუალებას. საქართველოს ტყეები მოკლებულია ნეიტრალური, დაუინტერესებული ორგანიზაციების კონტროლს, განსაკუთრებით იჯარით გადაცემულ ტერიტორიებზე, რაც თავის დროზე დიდი შეცდომა იყო. საქართველო, ამიერკავკასიის ორ ქვეყანასთან ერთად, რჩება ერთადერთ რეგიონად სადაც დღემდე არ ჩატარებულა ტყეების სერთიფიცირება დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიების მიერ. ესა და სხვა პრობლემები, როგორიცაა მექანიზაციის ფაქტიური არარსებობა მთიან პირობებში, სატყეო-სამეურნეო და ტყის საზიდი გზების არასაკმარისობა, ტყის აღდგენითი სამუშაოების უქონლობა, მძიმე პერსპექტივას უსახავს საქართველოს სატყეო მეურნეობის განვითარების შესაძლებლობას.		
4.	<p>აქატის სპეციფიური ზონალურ-კონცენტრული “აქატური სტრუქტურის” წარმოქმნაზე ას წელზე მეტია დაობენ როგორც გამოჩენილი გეოლოგები, ასევე ქიმიკოსები, მაგრამ დღემდე ეს საკითხი დიად იყო დარჩენილი. სამი მეცნიერული ნოვაციის შედეგად, ეტაპობრივად აგზორმა შეძლო ამ “ფენომენის” ახსნა:</p> <ul style="list-style-type: none"> - პირველად დამტკიცდა, რომ აქატ-ქალცედონური “ნუშურისებრი სხეულის” თეთრი, ზოგჯერ სტაფიდოსებრი არშია წარმოადგენს კაჟმიწა პიდროთერმული კოლოიდური სენარიის შემცველ ქანთან (დელენიტთან, პეტერიტთან) ნივთიერების ურთიერთ ჩანაცვლების შედეგს; - ამ ოპალისებრ არშიაში ასევე პირველად დაღინდა ცეოლითების (კლინოპტილოლიტის, მორდენიტის) არსებობა, რამაც ასევე დაადასტურა არშიის პიდროთერმულ-მეტასომატური წარმოქმნა; - არშია ძირითადად წარმოდგენილია ოპალით, რომელიც წარმოქმნა ქალცედონის (SiO₂) ოპალად (SiO₂·aq) გარდაქმნით. ვინაიდან ოპალს ჭირდება ხუთჯერ მეტი მოცულობის დაკავება, მასში წარმოიქმნება ცენტრისკენული ძალები. ამ ძალების მოქმედების შედეგად, “ავტოტალლური” თეორიის თანახმად, კაჟმიწა კოლოიდურ გულში წარმოიშვება რითმული ზონალურ-კონცენტრული “აქატური” სტრუქტურები (ცნობილი 		

რ.ლიზეგანგის “რგოლების” მსგავსად).

5. საქართველოში სასარგელო წიაღისეულის პირველადი გადამუშავება ძირითადად წარმოებს გამდიდრების ტრადიციული მექანიკური მეთოდების გამოყენებით, რაც მოპოვებულ მინერალურ ნედლეულში ძნელდასამდიდრებელი მაღნების წილის გამო ვერ უზრუნველყოფს გამდიდრების მაღალი მაჩვენებლების მიღწევას – კონცენტრატებში სასარგებლო კომპონენტების ამოკრეფისა და მაღნების კომპლექსური გამოყენების თვალსაზრისით. დარგის ინტენსიური განვითარებისათვის აუცილებელია დანერგილი იქნეს კომბინირებული ტექნოლოგიური სქემები. განსაკუთრებით პერსპექტიულია ბიოტექნოლოგიური პროცესების ჩართვა, რაც ხელს შეუწყობს დარგის ამოცანების გადაწყვეტას – ნედლეულის გადამუშავების ბაზის გაფართოებას, მისი კომპლექსური გამოყენების ინტენსიფიკაციას, ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესებას. ამ თვალსაზრისით განხილულია ტყიბულის ქვანახშირის გამდიდრების კუდებისა და შლამების, მაღნეულის სულფიდური მაღნების, ჭიათურის ძნელადსამდიდრებელი მაგანუმის მაღნებისა და შლამების, ჩორდის ბარიტების გამდიდრების კუდების და ტრაქიტების გამდიდრების კომბინირებული ტექნოლოგიური სქემების – პიდრო და ბიომეტალურგიული პროცესების ჩართვით-გამოყენების პერსპექტივები.
6. ნაშრომში განხილულია ციხისუბნის საბადოს ტრაქიტების გადამუშავება სილიკატური ბაქტერიებით, ბიოტექნოლოგიური მეთოდის გამოყენებით, რის საფუძვებები მიღებულია პროლონგირებული სასუქი სილიკატური ბაქტერიებისა და კალიუმის ადსორბციით ცეოლითზე. პროდუქტი გამოიცადა ვეგეტაციური ცდის პირობებში (სათბურში) ხორბლის კულტურაზე. გამოვლენილია მისი ეფექტურობა, რაც დადასტურებულია მცენარეთა პროდუქტიულობის ზრდო, ნიადაგის დადებითი მიკროფლორის გაძლიერებით.
7. კვლევითი სამუშაოები ჩატარებულია მაღნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ჩამდინარე წყლების ფერადი ლითონების იონებისაგან გაწმენდის მიზნით, ბუნებრივი სორბენტების (დიატომიტი, ცეოლითი, ასკანგელი, ნახშირი და მათი მოდიფიცირებული ფორმები) გამოყენებით. Cu^{2+} , Zn^{2+} , Pb^{2+} და Fe^{2+} მიმართ ძლიერი ადსორბციული უნარით ხასიათდება დიატომიტისა და ცეოლითის მოდიფიცირებული ფორმები. გაწმენდის ხარისხი აღწევს 95-99%. ცდები ჩატარებულია მოდელურ და ბუნებრივ ხსნარებზე.
8. შეფასებულია გეოთერმული რესურსების ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში ჩართვის შესაძლებლობები. გამონთავისუფლებული სათბობის უველწლიური რაოდენობა ტოლია 1,4-1,6 მლნ ტ.კ.ს. ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით მიღწევა სათბობის ეკონომია: კომუნალურ-საყოფაცხოვრებო სფეროში - 45%, სოფლის მეურნეობაში - 34%, მსუბუქ მრეწველობაში - 27%, საშენი მასალების წარმოებაში - 25% და ა.შ. განსაზღვრულია გარდამავალი ეკონომიკის პირობებში საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების ოპტიმალური მიმართულებები და გეოთერმული ენერგიის ადგილი ქვეყნის ენერგეტიკულ ბალანსში.
9. შეფასებულია თბილისის მზის ენერგეტიკული პოტენციალი, მისი გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიკური ასპექტები და ათვისების პერსპექტივები.
- მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში და თვის განმავლობაში მოდინებული მზის რადიაციის საკმაოდ მაღალი მნიშვნელობები გვაძლევენ საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მზის ენერგიის გამოყენება უახლოეს 10 წელიწადში თბილისში მნიშვნელოვნად გაიზრდება.
- მზის ენერგიის პოტენციალი მომხმარებლები შეიძლება გახდნენ: სასტუმროები, სოფლის

	<p>მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები და სხვ.</p> <p>10. განხილულია ევროპის ქვეყნებში მზის ენერგიის გამოყენების ტენდენციები და განვითარების პერსპექტივები.</p> <p>მზის ენერგიის გარდამქმნელების უმრავლესობა დაბალტემპერატურული ჯგუფისაა. მათი საშუალებით ხდება წყლის გაცხელება, ხილისა და ბოსტნეულის შრობა. მზის ენერგიის აკუმულირებით შესაძლებელია შენობების, სათბურების და სხვათა ცხელი წყლით მომარაგება და გათბობა.</p> <p>მზის დანადგარები პრაქტიკულად არ საჭიროებენ საექსპლუატაციო დანახარჯებს, რაც კიდევ უფრო პერსპექტიულს ხდის მათ ფართოდ გამოყენებას ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგში.</p> <p>11. სტატიაში ჩამოყალიბებულია თბურ ტუმბოებში მიმდინარე ენერგიის გარდაქმნისა და სითბო-სიცივით მომარაგების სისტემების თავისებურებანი. დამუშავებულია რეკომენდაციები თბური ტუმბოების კომპლექსური სისტემების დაპროექტებისა და სრულყოფისთვის. შეფასებულია განახლებადი რესურსების სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში ჩართვის პერსპექტივები და მათი როლი გარემოს დაცვის სფეროში.</p>
--	--

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

Nº	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდები ს რაოდენობ ა
1	Т. Урушадзе Л. Джорбенадзе,	Физические свойства почв Западной Грузии	Известия Национальной сельскохозяйственной Академии Армении № 3, 2016	Армения, 2016	стр. 13-16
2	ა. სახვაძე	"Изменение этно-демографического баланса на Южном Кавказе в XX и начале XXI веков (на примере постсоветских республик)", კონფერენციას - "Демографическое развитие в	გადაცემულია გამოსაქვეყნებლად	ქ. ბაქო, აზერბაიჯანი	11

		Азербайджанской Республике: перспективы расселения населения и региональные проблемы" - масалҗибыс җәһәүлә			
3	ө. ფარეხიშვილი ლ. კვარაცხელია გ. მირზაევა	"Развитие рекреационно-туристических зон как ключевой фактор улучшения демографической ситуации и обеспечения занятости местного населения (на примере горных регионов Грузии)" , зәфәрәүбүзүүс – "Демографическое развитие в Азербайджанской Республике: перспективы расселения населения и региональные проблемы" - масалҗибыс җәһәүлә	Задачи Задача №1 "Развитие рекреационно- туристических зон как ключевой фактор улучшения демографической ситуации и обеспечения занятости местного населения (на примере горных регионов Грузии)" , зәфәрәүбүзүүс – "Демографическое развитие в Азербайджанской Республике: перспективы расселения населения и региональные проблемы" - масалҗибыс җәһәүлә	ქ. ბაქო, აზერბაიჯანი	10

ანოტაციები

1. სტატიაში განხილულია დასავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო ზონის ნიადაგების ფიზიკური თვისებები. კვლევის ობიექტი იყო დასავლეთ საქართველოს ნიადაგები 900-1000 მეტრამდე ზღვის დონიდან. მათ შორის წითელმიწვები, ყვითელმიწვები, ჭაობიანი, ყვითელმიწა-ეწერი, ყვითელ-ყომრალი და კორდიან-კარბონატული ნიადაგები. შესწავლილი იქნა წყალგამტარობა, მოცულობითი და ხვედრითი მასა, ფორიანობა, წყალტევადობა, ჭაობის კოეფიციენტი და აქტიური ტენის დიაპაზონი.
2. განხილულია ამიერკავკასიის ეთნოდემოგრაფიული სტურქტურის ფორმირების საკითხები. ნაჩვენებია მისი განვითარების დინამიკა და გამოვლენილია ამ პროცესის

ზოგიერთი თავისებურება.

3. სტატიაში მოყვანილია საქართველოს მთიან რეგიონებში არსებული მძიმე დემოგრაფიული სიტუაციის მონაცემები, რომელთათვისაც დამახასიათებელია უმუშევრობის მაღალი დონე და შრომისუნარიანი მოსახლეობის ქალაქებში ინტენსიური გადინების პროცესი. ამ რეგიონების მაგალითზე განხილულია სოფლის დასახლებების დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების გზები. არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ შესაძლებელ გზად შემოთავაზებულია ადგილობრივი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის სრული ათვისება და აღნიშნულ ტეროტორიებზე ტურისტულ-რეკრეაციული სფეროს აქტიური განვითარება, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დამაგრებას.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ.ჭითანავა, ჯ.მაჭავარიანი, რ.ფირცხალავა	“საქართველოს მიწის ფონდი: პრობლემები და პერსპექტივები”	მეოთხე რესპუბლიკური კონფერენცია ნიადაგმცოდნეობაში, მიძღვნილი გამოჩენილი მეცნიერის, პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, პროფესორის სერგეი ზონის დაბადების 110 წლისთავისადმი. 17 ივნისი, 2016 წ., საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი.
2	თ. ურუშაძე	“თანამედროვე სატყეო ნიადაგმცოდნეობის მიღწევები”	პროფესორ ნოდარ ტარასაშვილის დაბადებიდან 85 წლისთავისადმი მიძღვნილი მე-4 რესპუბლიკური

			კონფერენცია ნიადაგმცოდნეობაში. 23 თებერვალი, 2016 წ.
3	თ.ურუშაძე	“დიდი მეცნიერი, პედაგოგი და მოქალაქე პროფ. სერგეი ზონი”	მეოთხე რესპუბლიკური კონფერენცია ნიადაგმცოდნეობაში, მიძღვნილი გამოჩენილი მეცნიერის, პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, პროფესორის სერგეი ზონის დაბადების 110 წლისთავს. 17 ივნისი, 2016 წელი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი.
4	გ. მაღალაშვილი	აქატის ზინალურ- კონცენტრული სტრუქტურის ფორმირების გაშიფვრა	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “თანამედროვე კვლევები და მათი გამოყენების პერსპექტივები ქიმიაში, ქიმიურ ტექნოლოგიასა და მომიჯნავე დარებში”. 2016 წ., ურეკი
5	ლ.ჩოჩია, ლ.ქართველაშვილი, ჯ.პაპულია, ს.ჯალაძანია	მადნეულის ჩამდინარე წყლების გაწმენდა სორბციული მეთოდით	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “თანამედროვე კვლევები და მათი გამოყენების პერსპექტივები ქიმიაში, ქიმიურ ტექნოლოგიასა და მომიჯნავე დარებში”. 2016 წ., ურეკი
6	ქ.ვეზირიშვილი-ნოზაძე, ირ.ჟორდანია, თ.ნოზაძე, ნ.მირიანაშვილი, ზ.ლომსაძე, თ.წოწონავა-დურგლიშვილი	გეოთერმული წყლების ბაზაზე თხევადი სორბენტის გამოყენებით ჰაერის კონდიცირების სისტემების შექმნა	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “თანამედროვე კვლევები და მათი გამოყენების პერსპექტივები ქიმიაში, ქიმიურ ტექნოლოგიასა და მომიჯნავე დარებში”. 21-23 სექტემბერი, 2016 წ., ურეკი
7	ქ.ვეზირიშვილი-ნოზაძე, ირ.ჟორდანია, თ.ნოზაძე,	არატრადიციული, განახლებადი რესურსები -	IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

	ნ.მირიანაშვილი, ზ.ლომსაძე, თ.წოწონავა-დურგლიშვილი	ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის ალტერნატივა	“ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები”. 29 ოქტემბერი, 2016 წ., ქუთაისი
8	ქ.ვეზირიშვილი-ნოზაძე, ე.ფანცხავა, ლ.პაპავა, მ.ჯიხვაძე, მ.რაზმაძე, ქ.მჭედლიძე	საქართველოში არსებული ენერგორესურსების ათვისების პოტენციური მიმართულებანი	IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები”. 29 ოქტემბერი, 2016 წ., ქუთაისი
9	ქ.ვეზირიშვილი-ნოზაძე, ლ.პაპავა	გეოთერმული ენერგიის გამოყენებისას წამოჭრილი პრობლემების ეფექტური გადაწყვეტის მიმართულებები	საქართველოს განახლებადი ენერგიების ასოციაციის სტუდენტური კონფერენცია. 26 აპრილი, 2016 წ., თბილისი
10	ქ.ვეზირიშვილი-ნოზაძე, მ.რაზმაძე	ქ.თბილისის გეოთერმული თბომომარაგება – XXI საუკუნის ალტერნატივა	საქართველოს განახლებადი ენერგიების ასოციაციის სტუდენტური კონფერენცია. 26 აპრილი, 2016 წ., თბილისი

მოხსენებათა ანოტაციები

1. მიწის რესურსები სახელმწიფო მართვის ობიექტია, ამიტომ მათი მართვა წარმოადგენს დარგთაშორის საქმიანობას. ამასთან სახელმწიფო გამოდის როგორც მიწის მესაკუთრე და როგორც პოლიტიკური სუბიექტი. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო მიწის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მიზნით ახორციელებს შემდეგ მირითად ფუნქციებს: მიწის გამოყენებისა და დაცვის პროგნოზირება და დაგეგმვა; მიწის აღრიცხვა და მიწის სახელმწიფო კადასტრის წარმოება; მიწათმოწყობა; მიწის მონიტორინგი; მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კონტროლი; მიწების განაწილება და გადანაწილება; მიწის შესახებ დავების გადაწყვეტა და ა.შ.
2. განხილულია პროფ. ნ.გარასაშვილის საქმიანობა სატყეო ნიადაგმცოდნეობის დარგში, ნიადაგების დახასიათება, მათი გენეზისი და დაცვის დონისძიებები.
3. დიდი მეცნიერისა და პედაგოგის, სერგეი ზონის შემოქმედების შესახებ.
4. აქატის სპეციფიური ზონალურ-კონცენტრული “აქატური სტრუქტურის” წარმოქმნაზე ას

წელზე მეტია დაობუნ როგორც გამოჩენილი გეოლოგები, ასევე ქიმიკოსები, მაგრამ დღემდე ეს საკითხი დიად იყო დარჩენილი. სამი მეცნიერული ნოვაციის შედეგად, ეტაპობრივად ავტორმა შეძლო ამ “ფენომენის” ასენა:

- პირველად დამტკიცდა, რომ აქატ-ქალცედონური “ნუშურისებრი სხეულის” თეორი, ზოგჯერ სტაფილოსებრი არშია წარმოადგენს კაჟმიწა პიდროთერმული კოლოიდური სსნარის შემცველ ქანთან (დელენიტთან, პეტრიტთან) ნივთიერების ურთიერთ ჩანაცვლების შედეგს;
- ამ ოპალისებრ არშიაში ასევე პირველად დადგინდა ცეოლითების (კლინოპტილოლიტის, მორდენიტის) არსებობა, რამაც ასევე დაადასტურა არშიის პიდროთერმულ-მეტასომატური წარმოქმნა;
- არშია ძირითადად წარმოდგენილია ოპალით, რომელიც წარმოიქმნა ქალცედონის (SiO_2) ოპალად ($\text{SiO}_2\cdot\text{aq}$) გარდაქმნით. მაგრამ ოპალს ჭირდება ხუთჯერ მეტი მოცულობის დაკავება, რის შედეგად წარმოიქმნება ცენტრისებრული ძალები. ამ ძალების მოქმედების შედეგად, “ავტოტალდური” თეორიის თანახმად, კაჟმიწა კოლოიდურ გულში წარმოიშვება რითმული ზონალურ-კონცენტრული “აქატური” სტრუქტურები (ცნობილი რ.ლიზეგანგის “რგოლების” მსგავსად).

5. კალევითი სამუშაოები ჩატარებულია მაღნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომპინატის ჩამდინარე წყლების ფერადი ლითონების იონებისაგან გაწმენდის მიზნით, ბუნებრივი სორბენტების (დიატომიტი, ცეოლითი, ასკანგელი, ნახშირი და მათი მოდიფიცირებული ფორმები) გამოყენებით. Cu^{2+} , Zn^{2+} , b^{2+} და e^{2+} მიმართ ძლიერი ადსორბციული უნარით ხასიათდება დიატომიტისა და ცეოლითის მოდიფიცირებული ფორმები. გაწმენდის ხარისხი აღწევს 95-99%. ცდები ჩატარებულია მოდელურ და ბუნებრივ სსნარებზე.

6. მოხსენებაში წარმოდგენილია ჩვენს მიერ პირველად შემოთავაზებული ჰაერის გაცივების სისტემა სორბენტების სსნარის მეშვეობით თერმული წყლების ბაზაზე.

ჰაერის დამუშავების პრიციპი ემყარება სხვადასხვა მსრილების (სორბენტების) მიერ ტენის შთანთქმის თვისებას. ჰაერის წინასწარი შრობის პროცესები თხევადი სორბენტებით საშუალებას იძლევა კონდიცირებული ჰაერი დაყვანილ იქნეს საჭირო პარამეტრებამდე: ($t=2\text{--}4^\circ\text{C}$, ფარდობითი ტენიანობა $\varphi=85\text{--}98\%$). ეს ძალზე მნიშვნელოვანია ხილბოსტენეულის საცავებსა და აგროსამრეწველო კომპლექსის ობიექტებზე ჰაერის ტექნოლოგიური კონდიცირების განხორციელებისთვის.

ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკვლევები მოწმობენ თხევადი სორბენტებით ჰაერის კონდიცირების მაღალ ეფექტურობას; ეს შესაძლებელს ხდის ერთნაირი ენერგეტიკული დანახარჯების დროს მიღებული იქნეს 3-ჯერ მეტი სიცივე, ვიდრე ფრეონის გამოყენებით და 30%-ით მეტი, ვიდრე ამიაკურ სამაცივრო დანადგარებში.

7. გაანალიზებულია მსოფლიოში ორგანული სათბობის დაწვის შედეგად გარემოზე მიყენებული ეკოლოგიური ზიანის გამომწვევი მიზეზები. ნაჩვენებია, რომ ორგანული სათბობის დაწვის შედეგად გარემოზე მიყენებული ეკოლოგიური ზიანის შემცირების ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა არატრადიციული, განახლებადი ენერგორესურსების ფართოდ გამოყენება თბური და ელექტრული ენერგიის მისაღებად.

გაანალიზდა ქვეყანაში საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ

ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, საიდანაც ჩანს, რომ საქართველოს გააჩნია განახლებადი, არატრადიციული ენერგიის რესურსების დიდი მარაგი (პიდრო, მზის, ქარის, გეოთერმალური წყლების და ბიოგაზის). მიუხედავად ამისა, დღემდე მიღებული არ არის მათი ათვისების მხარდამჭერი კანონები, რის გამოც ამ რესურსების გამოყენების დონე ამჟამად ძალიან დაბალია და ეს ხდება მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა ყოველწლიურად 300 მლნ ლარის ბუნებრივ აირს ყიდულობს უცხოეთში. საქართველოში მოხმარებული ბუნებრივი აირის 50% კი იხარჯება დაბალპოტენციური თბური ენერგიის ($40-150^{\circ}\text{C}$) მისაღებად, გათბობისა და ცხელწყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით.

მოხსენებაში ამ პრობლემების გადაჭრის გზებზეა გამახვილებული ყურადღება.

8. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოქვეყნდა ენერგეტიკული სექტორის განვითარების პირველი გრძელვადიანი სტრატეგიის დოკუმენტის პროექტი. მოხსენებაში განხილულია ის ძირითადი გამოწვევები, რომელთა წინაშეც ენერგეტიკა დგას. წარმოდგენილ პროექტში სტრატეგიული განვითარების ხედვა დაკავშირებულია საქართველოს ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგოდამოულიდებლობის გაძლიერებასთან. გარდა ამისა მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული ევროკავშირთან დაახლოების პროცესში არსებული ენერგეტიკული რესურსების ათვისების შესაძლებლობანი. ამ ჩარჩოს მიხედვით მოხსენებაში განხილულია საქართველოს ენერგოპოტენციალი.

9. მოხსენებაში ჩამოყალიბებულია საქართველოს გეოთერმული ენერგეტიკის პრობლემის გადაწყვეტისა და ამ დარგის შემდგომი განვითარების პერსპექტივები, რომლის პრაქტიკული განხორციელებით მოხდება დარგის როგორც ტექნიკა-ტექნოლოგიური, ისე ორგანიზაციულ-უკონომიკური სრულყოფა. ცნობილია, რომ წიაღისეულ სიმდიდრეთა მარაგი ლიმიტირებულია, ხოლო მზის ენერგიისა და მზის გამოსხივებით განპირობებული ენერგიები – ქარის, გეოთერმული, ჰიდროენერგეტიკული რესურსები, ბიომასის გამოყენებით მიღებული ენერგიები განახლებადია. აღნიშნულის გათვალისწინებით კაცობრიობა ჩაება ახალ, მდგრადი განვითარების პროცესში, რომლის უმთავრეს კომპონენტს განახლებადი ენერგიის გამოყენება წარმოადგენს. მოხსენებაში განხილულია მდგრადი განვითარებისა და ენერგოეფექტურობის სტრატეგია გეოთერმული თბომომარაგების ჭრილში.

10. ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და ეკოლოგიის დაცვა თანამედროვების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. მისი მართებული და მასშტაბური გადაწყვეტა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩვენს აწმეოსა და მომავალს. საქართველოს წიაღისეული რესურსების შეზღუდული მარაგი, საობობისა და ენერგიის იმპორტი, ეკოლოგიური ასპექტების გათვალისწინების აუცილებლობა, სულ უფრო აქტუალურს ხდის ენერგიის განახლებადი წყაროების, კერძოდ კი გეოთერმული წყლების გამოყენების მიზანშეწონილობას. მოხსენებაში განხილულია ქ.თბილისის თბოსიცივით მომარაგების პრობლემის გადაჭრის გზები იაფი და ეკოლოგიურად სუფთა თერმული წყლებით.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ა. სახვაძე	“Изменение этно-демографического баланса на Южном Кавказе в XX и начале XXI веков (на примере постсоветских республик)”	საერთაშორისო კონფერენცია "Демографическое развитие в Азербайджанской Республике: перспективы расселения населения и региональные проблемы", ქ. შექი - აზერბაიჯანი, 12-13 სექტემბერი, 2016
2	ო. ფარესიშვილი, ლ. კვარაცხელია ვ. მირზაევა	“Развитие рекреационно-туристических зон как ключевой фактор улучшения демографической ситуации и обеспечения занятости местного населения (на примере горных регионов Грузии)”	საერთაშორისო კონფერენცია "Демографическое развитие в Азербайджанской Республике: перспективы расселения населения и региональные проблемы", ქ. შექი, აზერბაიჯანი, 12-13 სექტემბერი, 2016

მოხსენებათა ანოტაციები

1. განხილულია ამიერკავკასიის ეთნოდემოგრაფიული სტურქტურის ფორმირების საკითხები. ნაჩვენებია მისი განვითარების დინამიკა და გამოვლენილია ამ პროცესის ზოგიერთი თავისებურება.
2. სტატიაში მოყვანილია საქართველოს მთიან რეგიონებში არსებული მძიმე დემოგრაფიული სიტუაციის მონაცემები, რომელთათვისაც დამახასიათებელია უმუშევრობის მაღალი დონე და შრომისუნარიანი მოსახლეობის ქალაქებში ინტენსიური გადინების პროცესი. ამ რეგიონების მაგალითზე განხილულია სოფლის დასახლებების დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების გზები. არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ შესაძლებელ გზად შემოთავაზებულია ადგილობრივი ბუნებრივ-რესურსების პოტენციალის სრული ათვისება და აღნიშნულ ტეროტორიებზე ტურისტულ-რეკრეაციული სფეროს აქტიური განვითარება, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დამაგრებას.